



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-93.93213094

თარიღი:05/11/2021

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის № 14-ი განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის №14-ი განკარგულების დანართში, კერძოდ საპრივატიზებო ობიექტების ნუსხას დაემატოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი მიწის ნაკვეთი:

1.სოფ. შრომაში მდებარე - 2061 კვ.მ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი- საკადასტრო კოდი- 54.03.59.363.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

